ÁÒÞÀÍÄÁÖËÄÁÀ # 468 - ÓÀØÀÒÈÅÄËÏÛÉ ßÀÌÄÁÉÓ ßÉÍÀÀÙÌÃÄÂ ÁÒÞÏËÉÓ 2003-2005 ßËÄÁÉÓ ÓÀÌÏØÌÄÃÏ ÂÄÂÌÉÓ ÃÀÌÔÊÉÝÄÁÉÓ ÛÄÓÀáÄÁ

მიღებულია - 27.09.2003 წ *ძალაშია - 27.09.2003 წ*

19.06.2007 წ - მდგომარეობით

მიმღები: პრეზიდენტი

1994 წელს საქართველო შეუერთდა გაეროს კონვენციას "წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ" და იკისრა კონკრეტული ვალდებულებები ამ დოკუმენტის მოთხოვნათა შესასრულებლად. საქართველოს პრეზიდენტმა საქართველო "წამებისგან თავისუფალ ზონად" გამოაცხადა და გამოსცა შესაბამისი ნორმატიული აქტები ამ ინიციატივის განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა, წამების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო სისტემურ და კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რათა ნებისმიერი ადამიანი მაქსიმალურად იყოს გარანტირებული და დაცული ამგვარი უკანონო მოპყრობისაგან. ამ მიზნით:

1. დამტკიცდეს საქართველოში წამების წინააღმდეგ ბრძოლის 2003-2005 წლების სამოქმედო გეგმა თანდართული სახით.

2. სამოქმედო გეგმის რეალიზაციის კონტროლი განახორციელოს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში რ. ბერიძემ.

3. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წელიწადში ერთხელ წარმოადგინოს ანგარიში სამოქმედო გეგმის განხორციელების მსვლელობის შესახებ.

ედუარდ შევარდნაძე

გამოქვეყნებულია #114 მაცნეში
03.10.2003
ნაწილი III

- ÓÀØÀÒÈÅÄËÏÛÉ ßÀÌÄÁÉÓ ßÉÍÀÀÙÌÃÄÂ ÁÒÞÏËÉÓ 2003-2005 ßËÄÁÉÓ ÓÀÌÏØÌÄÃÏ ÂÄÂÌÀ

ამოცანა	მიზანი	სტრატეგია	შემსრულებელი	ვადა
1	2	3	4	5
1. არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა და ახალი საკანონმდებლო აქტების შემუშავება	**1.** ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება, შიდა კანონმდებლობის გაეროსა და ევროპის საბჭოს სტანდარტებთან	1."საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-6 ნაწილში ცვლილებების შეტანის შესახებ" კანონპროექტის მომზადება, სადაც გათვალისწინებული იქნება დებულება ეჭვის საფუძველზე დაკავებული პირის მოკვლევის ორგანოში მიყვანიდან 24 საათის განმავლობაში სავალდებულო სამედიცინო შემოწმების შესახებ	უშიშროებისა და სამართალდაცვის სისტემის ორგანოების ინსტიტუციური რეფორმების წინადადებების შემმუშავებელი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული დროებითი საუწყებათაშორისო კომისია	2003 დეკემბერი

	შესაბამისობის უზრუნველყოფა			
		2. წინადადებების შემუშავება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად გამოძიების ნებისმიერ ეტაპზე ბრალდებულს მიეცემა უფლება პირდაპირ მიმართოს მოსამართლეს საჩივრით უკანონო მოპყრობის თაობაზე	უშიშროებისა და სამართალდაცვის სისტემის ორგანოების ინსტიტუციური რეფორმების წინადადებების შემმუშავებელი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებული დროებითი საუწყებათაშორისო კომისია	2003 დეკემბერი
		3. წინადადებების შემუშავება გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიკაციის შესახებ	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2003 დეკემბერი
2. წამების, სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის თავიდან აცილება და დასჯა	**2.** წამების, სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების შემცირება, ამგვარი დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემა და დასჯა, დაუსჯელობის სინდრომის დაძლევა	1. წამების, სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების პროფილაქტიკისა და გამოვლენის მიზნით სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობის რეგულარული შემოწმება, აუცილებლობის შემთხვევაში დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა და პასუხისგებაში მიცემა	საქართველოს პროკურატურა	2003-2005
		2. მოქალაქეების, მათი ადვოკატების საჩივრების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული ფაქტების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში გამოძიება	საქართველოს პროკურატურა	2003-2005
		3. დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა მიმართ გამოყენებული უკანონო მოპყრობის ფაქტების შემოწმებისა და გამოძიების მუდმივი კონტროლი პროკურატურის შესაბამისი ქვედანაყოფების მხრიდან	საქართველოს პროკურატურა	2003-2005
		4. წამების ფაქტების შესახებ ოპერატიულად შეტყობინების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად მოქალაქეებისათვის საქართველოს პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებში "ცხელი ხაზის" ამოქმედება	საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2003-2005
		5. საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კოორდინირებული მუშაობის სისტემის შემუშავება და ამოქმედება წამების, სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების გამოვლენის და მათზე სათანადო რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით	საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2003 დეკემბერი
		6. წამების, სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების ზუსტი აღრიცხვის სისტემის შემუშავება და დანერგვა	საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები	2003 დეკემბერი

		(ამგვარ შემთხვევებთან დაკავშირებით განხორციელებული ზომების მითითებით)		
		7. ოპერატიულ-პროფილაქ-ტიკური ღონისძიებების რეგულარული გან-ხორციელება დაკავებულთა წინასწარი დაკავების იზოლატორში მოთავსების პროცესუალური ვადების დარღვევის ან სხეულის დაზიანების ფაქტების გამოვლენისა და სათანადო რეაგირების მიზნით	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა	2003-2005 (3 თვეში ერთხელ)
		8. წინასწარი დაკავების იზოლატორების მოულოდნელი შიდასაუწყებო შემოწმებების პერიოდული მოწყობა წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მიზნით	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა	2003-2005 (თვეში ერთხელ)
		9. თანამშრომელთათვის რეგულარული მეცადინეობებისა და ტრენინგების გამართვა, მათთვის წამების და სხვა უკანონო მოპყრობის სრული დაუშვებლობისა და დასჯადობის განმარტების მიზნით	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, არასამთავრობო ორგანიზაციები	2003-2005 (6 თვეში ერთხელ)
		10. საქართველოს შსს-ს კოლეგიის სხდომებზე სამინისტროს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების, გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელთა ანგარიშების რეგულარული მოსმენა წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტების გამოვლენისა და მათზე რეაგირების შესახებ	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2003-2005 (თვეში ერთხელ)
		11. საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელი საბჭოების შექმნა ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოსთან და სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოებთან	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები	2004 თებერვალი
		12. სისტემატური კონტაქტები და თანამშრომლობა საქართველოს სახალხო დამცველთან, წამებასთან ბრძოლის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან	საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, არასამთავრობო ორგანიზაციები	2003-2005
3. სასჯელთა აღსრულების სისტემაში სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის დაუშვებლობა	**3.** საქართველოს სასჯელთა აღსრულების სისტემის გარდაქმნა, მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება	1. სასჯელთა აღსრულების სისტემის რეფორმირების კონცეფციის საბოლოო დახვეწა თავისუფლებააღკვეთილ პირთა ყოფითი და სხვა შესაბამისი პირობების ჰუმანიზაციის მიზნით ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა	2004 ივნისი
		2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროში არსებული საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელი საბჭოს	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები	2003-2005

		შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა		
		3. სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებში შექმნილი მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი კომისიების საქმიანობის ხელშეწყობა და მხარდაჭერა	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2003-2005
		4. მკაცრი კონტროლის დაწესება იმ პატიმართა გამოსავლენად, რომელთაც სასჯელთა აღსრულების დაწესებულებაში შემოსვლისას ან ყოფნისას ჰქონდათ სხეულის დაზიანებები. ამგვარი დაზიანებების არსებობის შემთხვევაში შესაბამისი მასალების დაუყოვნებლივ გადაგზავნა პროკურატურაში	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა	2003-2005
		5. სამინისტროს ბაზაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კადრების მომზადების სისტემის ამოქმედება, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მოპყრობის წესებს დაეთმობა ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2004 აპრილი
		6. სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებში მყოფ პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების განხორციელება, პატიმართა რეგულარული სამედიცინო შემოწმებები, კონსულტაციები და შემდგომი მკურნალობის უზრუნველყოფა. სიკვდილიანობის შემდგომი შემცირება, კერძოდ, პატიმართა შორის მკვლელობებისა და თვითმკვლელობების თავიდან აცილების გზით	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2003-2005
		7. შპს "მკაცრი მეთვალყურეობის რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს" პაციენტთა საყოფაცხოვრებო პირობების, მოვლის, კვებისა და სამედიცინო დახმარების ხარისხის პერიოდული შემოწმება და შეფასება არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიმართული ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სამედიცინო და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები	2003-2005
		8. სასჯელთა აღსრულების დაწესებულებების პერიოდული ინსპექტირება სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმებისა და მისი პრაქტიკული გაუმჯობესების მიზნით	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საზოგადოებრივი კონტროლის დამოუკიდებელი საბჭო, მუდმივმოქმედი საზოგადოებრივი კომისიები	2003-2005 (თვეში ერთხელ)
		9. თავისუფლებააღკვეთილ პირთა კვების რაციონის ხარისხის თანდათანობითი გაუმჯობესება კანონით გათვალისწინებული კალორიულობის მაჩვენებლის დაცვით	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2004
4. სპეციალური ზომების მიღება ქალთა და არასრულწლოვანთა	**4.** ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ წამებისა და უკანონო მოპყრობისა	1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის შემუშავება, რომლის თანახმად	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2004 იანვარი

წამების და ნებისმიერი სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან სრული დაცვის მიზნით	და დასჯის სხვა ფორმების თავიდან აცილება, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება	ქალის წამება ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელ გარემოებად იქნება მიჩნეული		
		2. მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, სასამართლო განხილვის დროს და მას შემდეგ წამების, არასრულწლოვან მსხვერპლთა დაცვის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით წინადადებათა შემუშავება	საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს განათლების სამინისტრო	2004
		3. ქალთა და არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სასჯელთა აღსრულების და აღმზრდელობით დაწესებულებებში საყოფაცხოვრებო პირობების, კვების, სწავლისა და სამედიცინო მომსახურების პრობლემების მოგვარება ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	2003-2004
5. წამების, სხვა სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული მდგომარეობის მონიტორინგი	**5.** წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლი, მოცემულ სფეროში არსებული პრობლემების გამოკვეთა და ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება მათ დასაძლევად	1. საანგარიშო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციების წარდგენა, რომელთა საფუძველზე მომზადდება შესაბამისი მოხსენება საქართველოს პრეზიდენტისათვის	საქართველოს პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა, ინტელექტუალური და ჰუმანიტარული უსაფრთხოების დეპარტამენტი	2003-2005 (ყოველი წლის დეკემბერი)
		2. წამების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი ჩაბმა მონიტორინგის პროცესში უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მოძიებისა და არსებული პრობლემების მოგვარების გზების ერთობლივი განსაზღვრის მიზნით	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა, ინტელექტუალური და ჰუმანიტარული უსაფრთხოების დეპარტამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	2003-2005
		3. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სწრაფი რეაგირების ჯგუფის, საქართველოს პროკურატურის ადამიანის უფლებათა განყოფილების მობილური ჯგუფის შესაძლებლობების გამოყენება, საერთაშორისო დახმარების მოძიება (ეუთო) პერმანენტული მონიტორინგისა და დარღვევებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა, ინტელექტუალური და ჰუმანიტარული უსაფრთხოების დეპარტამენტი	2003-2005
		4. მონიტორინგის პროცესისა და შედეგების გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შესაბამისი ინფორმაციების საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა, ინტელექტუალური და	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ადამიანის უფლებათა, ინტელექტუალური და ჰუმანიტარული უსაფრთხოების დეპარტამენტი	2003-2005 (მუდმივად)

		ჰუმანიტარული უსაფრთხოების დეპარტამენტის ინტერნეტ-გვერდზე მოთავსების გზით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის გამოყენებით		

Page created by ***Georgian Software Systems Ltd.***
© 2000. ***GSS Ltd..***